სსმ. კოდი: 210020010.35.121.016380
გამოქვეყნების თარიღი: 09.12.2019.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N25

2019 წლის 4 დეკემბერი

ქ.ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილ¿ბის (www.matsne.gov.ge, 17.11.2015 წელი, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.121.016193) მე-2 მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვროს ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით გ¿თვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის მიხედვით:

ა) ქალაქის ტერიტორიაზე:

ა.ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე 1 კვ. მეტრზე 0,5 ლარი;

ა.ბ) ¹სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე 1000 კვ. მეტრამდე 2 (ორი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე, ხოლო 1000 კვ. მეტრს ზემოთ 1 (ერთი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე;

ა.გ) სხვა შენობა-ნაგებობებზე, მათ შორის კომერციულ და სამრეწველო საქმიანობის შენობა-ნაგებობებზე 1 კვ. მეტრზე 2 (ორი) ლარი.

ბ) სოფლების ტერიტორიაზე:

ბ.ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე 1 კვ. მეტრზე 0,2 ლარი;

ბ.ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე 1000 კვ. მეტრამდე 2 (ორი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე, ხოლო 1000 კვ. მეტრს ზემოთ 1 (ერთი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე;

ბ.გ) სხვა შენობა-ნაგებობებზე, მათ შორის კომერციულ და სამრეწველო საქმიანობის შენობა-ნაგებობებზე 1 კვ. მეტრზე 1 (ერთი) ლარი;

გ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტის გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის 1 (ერთი) ლარი.

დ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს მე-2 კლასის ობიექტებისათვის 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, მე-3 კლასის ობიექტებისათვის - 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო მე-4 კლასი ობიექტებისათვის - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. "

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე